# ერიდეთ შვიდ დამღუპველ ცოდვას

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ერიდეთ შვიდ დამღუპველ ცოდვას». ჰკითხეს: ო, ალლაჰის მოციქულო, და რომელია ისინი? მან თქვა: «ალლაჰზე თანაზიარის დადგენა, ჯადოქრობა, იმ სულის მოკვლა, რომლის სიცოცხლეც ალლაჰმა აკრძალა, გარდა იმისა, რაც ეხება სამართლის აღდგენას (შარიათით), მევახშეობა (რიბა), ობლის ქონების მიტაცება, ბრძოლის ველიდან გაქცევა და პატიოსანი, უდანაშაულო მორწმუნე ქალებზე მრუშობის დაბრალება».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უბრძანებს თავის ხალხს, რომ განერიდოს შვიდი დამღუპველი ცოდვისა და დანაშაულისგან. და როცა მას ჰკითხეს, თუ რომელია ისინი, მან განუმარტა, რომ ისინია: პირველი: ალლაჰზე თანაზიარის დადგენა, რაც გულისხმობს მისთვის თანასწორის ან მსგავსის აყვანას წმინდაა ის, ნებისმიერი ფორმით, თაყვანისცემებიდან რომელიმე თაყვანისცემის მიძღვნა დიდებული ალლაჰის გარდა სხვაზე. ალლაჰის შუამავალმა დაიწყო მრავალღმერთიანობის მოხსენიებით, რადგანაც ის ცოდვათაგან უდიდესია. მეორე: ჯადოქრობა — ეს არის ქმედებები, რომლებიც მოიცავს კვანძების შეკვრას, ჯადოსნურ სიტყვებს, წამლებსა და კვამლს, რომლებსაც იყენებენ იმისთვის, რომ იმოქმედონ მოჯადოებული ადამიანის სხეულზე, მოკლან ან დაავადონ ის, ან დააშოროონ ცოლ-ქმარი, ეს არის ეშმაკის საქმე, და ვერ უკავშირდებიან მათ თუ არა ალლაჰზე თანაზიარის დადგენით, რომელიც გულისხმობს ბოროტ სულებთან დაახლოებას და ისეთი უწმინდური ქმედებების შესრულებას, რაც მათ მოსწონთ. მესამე: იმ ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა, რომლის მოკვლაც ალლაჰმა აკრძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს შარიათის სამართლებრივი საფუძველი, რომელსაც აღასრულებს მმართველი. მეოთხე: რიბას (პროცენტის) მიღება, იქნება ეს საკვების სახით თუ სხვა რაიმე ფორმით სარგებლის მიღება. მეხუთე: ობლის ქონების ხელყოფა, რომელსაც მამა გარდაეცვალა მაშინ, როდესაც ის ჯერ კიდევ სრულწლოვანების ასაკს არ იყო მიღწეული. მეექვსე: ბრძოლიდან გაქცევა, როცა ისლამის მტრებთან (ურწმუნოებთან) ბრძოლა მიმდინარეობს. მეშვიდე: პატიოსანი და ღირსეული ქალების მრუშობაში ცრუ დადანაშაულება, ასევე პატიოსანი მამაკაცების დადანაშაულება.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/3331